ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 47-80

"18" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-8 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი 16/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016468) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის "ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) თბილისის მერიის მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების რეგისტრაცია, აღრიცხვა და შენახვა;".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე